საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემია
GEORGIAN ACADEMY OF
AGRICULTURAL SCIENCES

იუზა ვასაძე

მეხილეობა, თანამედროვე მდგომარეობა, პერსპექტივები

თბილისი

2017

წინამდებარე ნაშრომი შედგენილია ავტორის მიერ ჩატარებული და ამ სფეროში მომუშავე დარგის წამყვან მეცნიერ მუშაკთა მრავალწლიანი კვლევების საფუძველზე აღნიშნულ ნაშრომში განხილული საკითხები დიდ დახმარებას გაუწევს სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, ფერმერებს, სტუდენტებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს მეხილეობის დარგის გაცნობა-შესწავლის საქმეში .

ავტორი დიდ მადლობას უხდის საქართველოს სტატისტიკური ეროვნული სამსახურის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტს, მხარეებისა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, ფერმერებსა და გლეხობას, რომლებმაც დიდი პრაქტიკული დახმარება გაუწიეს მას. ასევე საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურ დეპარტამენტს ნაშრომის გამოქვეყნებისათვის.

ავტორი: **იუზა ვასაძე** – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

რეცენზენტი: **ნადეჟნა მიროტაძე** - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი;

რედაქტორი: **ელგუჯა შაფაქიძე** - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი.

შესავალი

საქართველოს აგრარულ სექტორს განსაკუთრებული როლი აკისრია ქვეყნის ეკონომიკური სტრატეგიის განხორციელებაში. იგი ერთ-ერთი აქტიური სფეროა, რომლიც ვალდებულია უზრუნველყოს მოსახლეობის დიდი ნაწილის დასაქმება, ამავე დროს იგი წარმოადგენს სასურსათო პროდუქციის ძირითად მწარმოებელს, რომელზედაც მოდის მთლიანი შიდა პროდუქტის თითქმის 50 პროცენტი. აგრარული მეცნიერებათა და სპეციალისტთა მიერ ამჟამად დამუშავებული აგრარული პოლიტიკის კონცეფცია უახლესი წლების მანძილზე უნდა გახდეს აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების, ამ სფეროში სამართლებრივი საფუძველის მიმართულებისა და ქვეყანაში სასურსათო პრობლემის თანმიმდევრული, მიზანმიმართული გადაჭრის ორიენტირი.

მოსახლეობის სასურსათო მომარაგების პრობლემა უკანასკნელ პერიოდში კიდევ უფრო მწვავედ დადგა. ამ პრობლემიდან ყველაზე მთავარი იყო და რჩება სოფლის მეურნეობის პროდუქცია, მათ შორის ხილის წარმოების გადიდების ამოცანა, რომლის წარმატებით გადაწყვეტა ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის განვითარების საფუძველს წარმოადგენს.

მეხილეობა დღეს პირველ რიგში მეწარმეებზეა დამოკიდებული. ამიტომ საჭიროა, ამ დარგის მიმდევარნი სათანადოდ იყვნენ არამარტო გათვით-ცნობიერებულნი თანამედროვე საკითხებში, არამედ მომზადებულნიც აქტიური პრაქტიკული მოქმედებისათვის.

მეხილეობის დარგის განვითარება დაკავშირებულია არა მარტო ხეხილის იმ სარგავი მასალის ჯიშობრივ შემადგენლობასთან, რომელსაც აწარმოებდნენ სახელმწიფო სანერგეები ამა თუ იმ მეხილეობის ზონის ან რაიონის აგროეკოლოგიური პირობების შესაბამისად (რაც დღეისათვის თითქმის მოშლილია), არამედ გაუმჯობესებული ახალი ჯიშებისა და ფორმების გამოყვანასათან, ხეხილის ბაღში ნიადაგის გარდაქმნა გაკულტურებასთან, მავნებელ-დაავადებებთან ბრძოლის მაღალ ტექნიკასთან და მექანიზაციის დონის ამაღლებასთან, რასაც დიდი მზრუნველობით მრავალი ათეული წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს

მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მრავალრიცხოვანი კოლექტივი, რომელიც თითქმის გაუქმებულია და რომლის აღდგენაც დღეისათვის გადაუდებელ ამოცანად უნდა ჩაითვალოს. ვგულისხმობთ ჯერ კიდევ შერჩენილი მეცნიერთა თავმოყრასა და მათ დასაქმებას, რაც აუცილებლად შეუწყობს ხელს ამ დარგის აღდგენა-აღორძინებას.

ბევრად არის დაკავშირებული აგროსამრეწველო ინტეგრაციის რთული პროცესები ოპტიმალურ, მეცნიერულად დასაბუთებულ რეგულირებასთან. ის ვერ განვითარდება მთელი სოფლის მეურნეობის ინტეგრაციისა და კავშირურთიერთობათა განტკიცების გარეშე. ამიტომ სოფლის მეურნეობის ურთიერთკავშირების გაღრმავებაში სხვა ფაქტორებთან ერთად, მნიშვნელოვანი ადგილი განეკუთვნება დარგის ეკონომიკურ, ორგანიზაციულ და მმართველობით ურთიერთობებსა და მათ სრულყოფას. მისი გადაწყვეტისათვის აუცილებელია სოფლის მეურნეობის კომპლექსის განვითარების ეკონომიკური, სოციალური და ორგანზიაციული მოთხოვნილებათა შესწავლა. ამ დარგში არსებული პოლიტიკური ძირითადი ტენდენციების გამოვლინება და მართვის ორგანიზაციული სტრუქტურების წარმოების თანამედროვე მასშტაბებთან შესაბამისობაში მოყვანა.

არსებული ეკონომიკურ და პოლიტიკური კრიზისის ფონზე მეცნიერული აზრიც განიცდის კრიზისს. ამდენად ბუნებრივია, რომ სოფლის მეურნეობის კომპლექსში, სხვა პრობლემებთან ერთად, საჭიროა მოხდეს ახალ მეთოდოლოგიაზე გადასვლა, რომელიც დამოკიდებული იქნება გაღრმავებულ ანალიზებსა და გამოკვლევაზე.

ხეხილოვანი კულტურების წარმოებაში არსებული მდგომარეობა

მეხილეობა არის საქართველოს ერთ-ერთი პრიორიტეტული დარგი, არა მარტო ახალი ჯიშების გამოყვანათა და წარმოებაში მათი დანერგვით, არა მხოლოდ წარმოების მაღალი დონით, არამედ საჭიროა მეცნიერების უკანასკნელ მიღწევებზე დაყრდნობით სათანადო აგროტექნიკის უფრო სრულყოფა-დახვეწა და მისი წარმოებაში დანერგვა.

მეხილეობის დარგის განვითარება დაკავშირებული იყო არა მარტო ხეხილის იმ სარგავი მასალის ჯიშობრივ შემადგენლობასთან, რომელსაც არსებული სახელმწიფო სანერგეები იძლეოდნენ ამა თუ იმ რაიონის აგროეკოლოგიური პირობების შესაბამისად, არამედ დაკავშირებული იყო აგრეთვე გაუმჯობესებული ახალი ჯიშების გამოყვანასთან, მექანიზაციის დონესთან, მავნებლებთან და დაავადებებთან ბრძოლის მაღალ ტექნიკასთან და ხეხილის ბაღში ნიადაგის გარდაქმნა-გაკულტურებასთან.

ბუნებრივი და ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით მეხილეობა ქვეყნის რაიონებში მეტნაკლებადაა განვითარებული. ხეხილის ნარგაობის ტიპები ორნაირია და წარმოდგენილია, როგორც მასიური ბაღების, ისე საკარმიდამო ნაკვეთებზე ცალკე ნარგაობათა ერთეული ძირების სახით.

მეხილეობაში არსებული თანამედროვე მდგომარეობა სრულად იქნა აღნიშნული საქსტატის მიერ 2014 წლის ჩატარებულ სასოფლო-სამეურნეო აღწერაში, რომლის მონაცემებით ვისარგებლეთ ამ ნაშრომში. საქსტატმა ჩაატარა აღწერა გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მიერ რეკომენდებული 2006-2015 წლების მსოფლიო სასოფლო-სამეურნეო აღწერის პროგრამის შესაბამისად. აღწერა დაეფუძნა FAO–ს მეთოდოლოგიას. პირველ ეტაპზე, 2014 წლის ნოემბერში, ჩატარდა შინამეურნეობების სასოფლო-სამეურნეო აღწერა მოსახლეობის აღწერასთან ერთად. 2015 წლის გაზაფხულზე დამატებით ჩატარდა იურიდიული პირების სასოფლო-სამეურნეო აღწერა. საბოლოოდ აღწერას დაექვემდებარა ქვეყანაში არსებული (საქართველოს მთავრობის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე) მეურნეობები – ყველა ის შინამეურნეობა და იურიდიული პირი, რომელსაც 2014 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, საკუთრებაში ან

დროებით სარგებლობაში ჰქონდა სასოფლო-სამეურნეო მიწა, ჰყავდა პირუტყვი, ფუტკრის ოჯახი ან ჰქონდა მრავალწლოვანი ნარგავი.

აღწერის შედეგად, 2014 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, ქვეყანაში დაფიქსირდა 642,2 ათასი მეურნეობა, მათ შორის 640,0 ათასი – შინა-მეურნეობა და 2,2 ათასი – იურიდიული პირი. მეურნეების 30,9%-ს ქალი მეურნეები შეადგენდნენ. რეგიონის მიხედვით, მეურნეობების ყველაზე მეტი რაოდენობა იმერეთში (19,6%), კახეთსა (15,1%) და სამეგრელო-ზემო სვანეთში (13,3%) დაფიქსირდა.

მეურნეობების მთლიანი რაოდენობიდან 574,1 ათასს სარგებლობაში აქვს სასოფლო-სამეურნეო მიწა, ხოლო დანარჩენ 68,1 ათასს – არა აქვს.

მეურნეობების სარგებლობაში არსებული მიწის სტრუქტურა. 2014 წლის მდგომარეობით, მეურნეობების სარგებლობაში არის 842,3 ათასი ჰა სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო მიწა. მათ შორის 87,2% (734,8 ათასი ჰა) საკუთრებაშია, ხოლო 12,8% (107,5 ათასი ჰა) – დროებით სარგებლობაში.

სასოფლო-სამეურნეო მიწა და მისი გამოყენება. მეურნეობების სარგებლობაში 787,7 ათასი ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწაა. მათ შორის 86,5% (681,1 ათასი ჰა) შინამეურნეობების, ხოლო 13,5% (106,6 ათასი ჰა) იურიდიული პირების სარგებლობაშია.

მრავალწლოვანი ნარგავების მდგომარეობა 2014 წლის 1 ოქტომბრისათვის. მეურნეობების სარგებლობაში არსებული მრავალწლოვანი ნარგავების ფართობი 109,6 ათასი ჰა-ს შეადგენს. მეურნეობების სარგებლობაში არსებული მრავალწლიანი ნარგავების საშუალო ფართობი 0,4 ჰექტარია. მეურნეობების 93,5%-ს სარგებლობაში აქვს 1,0 ჰა-ზე ნაკლები მრავალწლოვანი ნარგავები. 1,0 ჰა და მეტი მრავალწლოვანი ნარგავი აქვს 17,6 ათას მეურნეობას, ხოლო 3,0 ჰა და მეტი – 1,7 ათასს. მრავალწლოვანი ნარგავების 54,2% ხეხილის ბაღებს უკავია, 30,1% - ვენახებს, 6,7% - ციტრუსის პლანტაციებს, ხოლო 4,2% - ჩაის პლანტაციებს (ცხრილი 1).

მრავალწლიანი ნარაგვების ფართობი მეხილეობის ზონებში 2006, 2010 და 2014 წლებში მკვეთრად არ შემცირებულა. აღწერის თანახმად მათი ფართობების უმეტესი ნაწილი სამეგრელო-ზემო სვანეთის (25,8 ათასი ჰა),

კახეთის (25,6 ათასი ჰა), იმერეთის (16,8 ათასი ჰა), გურიისა (10,5 ათასი ჰა) და შიდა ქართლის (127 ათასი ჰა) მეხილეობის ზონებზე მოდის. უმცირესი წილი კი მცხეთა-თიანეთის (1,8 ათასი ჰა), რაჭა-ლეჩხუმისა (3,6 ათასი ჰა) და სამცხე-ჯავახეთის (1,5 ათასი ჰა) მეხილეობის ზონებში.

მეურნეობების სარგებლობაში არსებული მრავალწლოვანი ნარგავების სტრუქტურა (2014 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით)

ცხრილი 1.

მაჩვენებელი	ფართობი (ათასი ჰა)	მეურნეობების რაოდენობა (ათასი ერთეული)	საშუალო ფართობი (ჰა)
მრავალწლოვანი ნარგავები, სულ	**109.6**	**272.0**	**0.4**
მათ შორის:			
ხეხილის ბაღები	59.4	157.6	0.4
ვენახები	33.0	123.5	0.3
ციტრუსის პლანტაციები	7.4	37.4	0.2
ჩაის პლანტაციები	4.6	6.6	0.7
სხვა მრავალწლოვანი ნარგავები	5.1	31.0	0.2

მრავალწლიანი ნარაგვების ფართობი 2006 წელთან შედარებით თითქმის არ შეცვლილა სამეგრელო-ზემო სვანეთის, შიდა ქართლისა და ქვემო ქართლის მეხილეობის ზონებში. სტაბილურად იანრჩუნებს ფართობებს აჭარის ა/რ, სამცხე-ჯავახეთისა და რაჭა-ლეჩხუმის მეხილეობის ზონები. იმერეთის მეხილეობის ზონა, სადაც მრავალწლიანი კულტურების ფართობი 2014 წელს გაიზარდა 3,3 ათასი ჰა-ით და შეადგინა 16,3 ათასი ჰა, ასევე მრავალწლიანთა ფართობების საგრძნობი მატება აღინიშნება გურიის მეხილეობის ზონაში - 6,3 ათასი ჰა, რომელიც ძირითადად თხილის კულტურაზე მოდის. შიდა ქართლის მეხილეობის ზონაში მრავალწლიანი ფართობები 2014 წელს 2010 წელთან შედარებით შემცირდა 5,3 ათასი ჰა-ით, ასევე კახეთის მეხილეობის ზონაში, სადაც ფართობები 11,4 ათასი ჰა-ით შემცირდა (ცხრილი 2).

ხეხილის ბაღები. მეურნეობების სარგებლობაში 59,4 ათასი ჰა ხეხილის ბაღებია. მეურნეობების სარგებლობაში არსებული ხეხილის ბაღების საშუალო ფართობი 0,4 ჰექტარია. მეურნეობების 94.0%-ს სარგებლობაში

აქვს 1 ჰა-ზე ნაკლები ფართობის ხეხილის ბაღი. 9,4 ათას მეურნეობას სარგებლობაში აქვს 1,0 ჰა და მეტი ფართობის ხეხილის ბაღი, ხოლო 0,7 ათასს – 3,0 ჰა და მეტი.

კაკლოვანი კულტურებიდან თხილის კულტურას წამყვანი ადგილი უკავია და მისი ფართობი 35 ათას ჰა-ს გადასცდა. ეს კულტურა განსაკუთრებით განვითარდა და მისი ფართობები შესაბამისად გაიზარდა სამეგრელო-ზემო სვანეთის, გურიის, იმერეთისა და კახეთის მეხილეობის ზონებში.

მრავალწლიანი ნარგავების ფართობი რეგიონების მიხედვით 2006 - 2010 წლების 1/1 მდგომარეობით (ათასი ჰა).

ცხრილი 2.

№	მეხილეობის ზონების დასახელება	2006 წლის 1/1 მდგომარეობა	2010 1/1 მდგომარეობა	2014 1/1 მდგომარეობა
1	იმერეთის	13,0	13.0	16.3
2	სამეგრელო -ზემო სვანეთის	26,0	24.0	25.8
3	გურია	5,0	4.0	10.5
4	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის	4,4	4.0	3.6
5	შიდა ქართლის	12,0	18.0	12.7
6	მცხეთა-თიანეთის	4,6	5.0	1.8
7	კახეთის	37,0	37.0	25,6
8	ქვემო ქართლის	2,0	3.0	3.0
9	სამცხე-ჯავახეთის	1,0	1.0	1.5
10	აჭარის ა.რ.	8,0	6.0	8.8
	სულ:	113	115	109.6

ხეხილოვანი კულტურების ფართობი 2010 წელს არ შეცვლილა და 2006 წელთან შედარებით მომატებულია 3,8 ათასი ჰა-თი. ქართლის, იმერეთის, გურიისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის მეხილეობის ზონაში. აღსანიშნავია, რომ ყველა მეხილეობის ზონაში, როგორც მოსალოდნელი იყო, ვაშლის კულტურას წამყვანი ადგილი უკავია და მის მერე მოდიან მსხლის, კომშისა და ზღმარტლის კულტურები.

სუბტროპიკული კულტურები განსაკუთრებით გვხვდებიან აჭარის, გურიის, სამეგრელო-ზემო სვანეთის მეხილეობის ზონებში. ფართობების გაზრდის მხრივ შეიძლება ითქვას რომ იგი ინარჩუნებს სტაბილურ მდგომარეობას.

საქსტატის მონაცემებით, 2012 წლის 1/1 მდგომარეობით, ხეხილის ბაღები 72,3 ათას ჰა-ს შეადგენდა, სადაც წამყვანი კულტურა კაკლოვნები არიან (45,7 ათასი ჰა), შემდეგ მოდიან თესლოვნები (15,4 ათასი ჰა); კურკოვნები (7,9 ათასი ჰა) და სუბტროპიკული კულტურები (2,8 ათასი ჰა) (ცხრილი №3).

ხეხილის კულტურების ფართობები 2006 და 2014 წ.წ. 1/1 მდგომარეობით (ათასი ჰა)

ცხრილი 3.

№	კულტურები	2006 წ.		2010 წ.		2014 წ.	
		ფართობი	%	ფართობი	%	ფართობი	%
1	თესლოვანი	11.6	27.0	15.4	34.2	15.4	21.3
2	კურკოვანი	4.5	10.5	7.4	15.5	7.9	10.9
3	კაკლოვანი	24.4	56.7	19.3	42.9	45.7	63.2
4	სუბტროპიკები	1.4	3.3	2.8	6.2	2.8	3.8
5	კენკროვანი	0.4	0.9	0.4	0.9	0.4	0.5
6	დანარჩენი	0.6	1.6	0.1	0.3	0.1	0.3
	სულ:	43.0	100	45.0	100	72.3	100

მრავალწლიანი კულტურების წარმოება. 1990-2014 წლებში მრავალწლიანი კულტურების პროდუქციის წარმოების მოცულობა კატასტროფულად დაეცა. ფართობების შემცირებასთან ერთად მოსავალიც მკვეთრად შემცირდა: ყურძნის წარმოება 3,1 ჯერ, ხილის – 2,6 ჯერ, ციტრუსის 3,7 ჯერ, ჩაის 290,1-ჯერ. მნიშვნელოვნად გაიზარდა თხილის წარმოება (ცხრილი 4).

მრავალწლიანი კულტურების პროდუქციის წარმოების ასეთი შემცირება ადასტურებს იმას, რომ ტრადიციული დარგები, რომლებიც ასრულებენ სავალუტო რესურსების ფორმირების რეალური წყაროს ფუნქციებს, ფაქტობრივად დეგრადირებული აღმოჩნდნენ. მიწების დაქუცმაცებით ვენახები მაღალ პროდუქტიულ ფართობებში მექანიზაციის გამოყენება შეიზღუდა. საჭირო გახდა დიდი მოცულობის სამუშაოების ხელით შესრულება, ამისთვის საკმარისი მუშახელის უყოლობის გამო აგროტექნიკური ღონისძიებები არ ხორციელდებოდა. ვენახის და ხეხილის

ფართობები შემცირდა. ფაქტიურად შეწყდა მეცნიერული მიღწევების პრაქტიკაში დანერგვა. მევენახეობასა და მეხილეობაში სამრეწველო პლანტაციები დაქუცმაცდა. დიდი რაოდენობით გაიჩეხა ნარგავები. ყურძნისა და ხილის რეალიზაციაში დიდი სირთულეები შეიქმნა. მცენარეთა დაცვის ეფექტიანი ღონისძიებები არ ხორციელდება.

მრავალწლიანი კულტურების წარმოება (ათასი ტონა) ყველა კატეგორიის მეურნეობაში (1986-2014 წწ.).

ცხრილი 4.

პროდუქცია	1986-1990	1990[2]	1995	2000[2]	2002	2008[4]	2010	2011	2012	2013	2014[5]	რამდენჯერმე შემცირდა 1990 წლის მიმართ
ყურძენი	629,5	691	422,4	210	90	175,8	120,7	159,6	144	222,8	224,9	3,1-ჯერ
ხილი	645,3	591,2	383,9	250	172,6	157,6	124,1	187,3	157,9	217,6	229,0	2,6-ჯერ
ციტრუსი	259,8	283,1	118	40	33,1	52,2	52,1	54,9	77,0	110,04	76,2	3,7-ჯერ
ჩაის ფოთოლი	522,3	501,7	38,5	24	24	5,4	3,5	2,9	2,6	3,3	1,8	290-ჯერ
თხილი	-	-	-	-	-	18,7	28,8	3,1	24,7	39,7	37,4	-

ხეხილოვან კულტურათა განვითარების პროგრამის განხორციელების აქტუალურობა. ხეხილოვანი კულტურები სხვა მრავალწლიან კულტურებთან შედარებით გამოირჩევა მნიშვნელოვანი უპირატესობებით:

- საქართველოს ნიადაგურ-კლიმატური პირობები შესაძლებლობას იძლევა წარმოებული იქნას მისი მაღალი სასაქონლო თვისებების კონკურენტუნარიანი პროდუქცია საქართველოს უმეტეს რაიონში.
- მეხილეობა მაღალრენტაბელური დარგია.
- ადგილობრივი ბაზარი ამ პროდუქციის ტრადიციული და ფართო მომხმარებელია.
- ფერმერები დაინტერესებული არიან გააშენონ ხეხილის ბაღები.
- ეს დარგი მნიშვნელოვანი საექსპერტო შემოსავლების მომტანი დარგია.
- იგი ხასიათდება უნარჩენო წარმოებით – გამოიყენება მისი როგორც ნაყოფი, ასევე მთლიანად მცენარე – მერქანი.

- ხეხილის ბაღის გაშენება, მოვლა და აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარება სხვა კულტურებთან, კერძოდ ვაზთან, შედარებით ნაკლებ დანახარჯებს მოითხოვს.
- საქართველოში არსებობს ხელსაყრელი პირობები ეკოლოგიურად სუფთა (ორგანული) ხეხილის წარმოებისა, რაც დამატებითი შემოსავლის მიღების რესურსს წარმოადგენს.
- ახალი ტექნოლოგიების დანერგვის მაღალი პოტენციალი – ახალი მაღალმოსავლიანი ჯიშების ინტროდუქციითა და ბაღის მოვლის თანამედროვე მეთოდების დანერგვით რეალურია მკვეთრად გაიზარდოს მოსავლიანობა და შემცირდეს ბაღის გაშენების საინვესტიციო პერიოდი.
- საქართველოში არ არის ხეხილის საშიში საკარანტინო დაავადებები.
- ხეხილის წარმოების გაზრდა შემფუთავი, დამხარისხებელი და გადამამუშავებელი სიმძლავრეების აღდგენის კარგი წინაპირობაა.

ხელისშემშლელი ფაქტორები. მეხილეობის განვითარებაში ერთ-ერთ ძირითად და მთავარ სირთულეს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ დღეისათვის სარგავი მასალის ადგილობრივ ბაზარზე წარმოდგენილია უცნობი ჯიშური თვისებებისა და გაურკვეველი ფიტოსანიტარული სტატუსის მქონე თესლნერგები, რომელთა გამოყენებითაც მიზანშეუწონავია მათი სამრეწველო მიზნით გაშენება.

გარდა ჯიშურად გარანტირებული სარგავი მასალის ხელმიუწვდომლობისა, სერიოზულ ხელისშემშლელ მიზეზებს წარმოადგენენ შემდეგი სირთულეები:

- საქართველოში დღემდე ფუნქციონირებენ წვრილი სანერგე მეურნეობები, რომლებიც ყოველგვარი სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის გარეშე აწარმოებენ გაურკვეველ წარმოშობის ხეხილოვან კულტურათა ნერგებს;
- ბაღების აბსოლუტური უმრავლესობა შენდება მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციებისა და პროექტების გარეშე;

- ხეხილის ბაღების გაშენების დროს ხშირია შემთხვევები, როდესაც ხდება ახალი პროგრესული ტექნოლოგიებისა და ჯიშების შემოტანა ყოველგვარი ნიადაგური და კლიმატური პირობების გათვალისწინებათა კორექტირების გარეშე, რაც საბოლოოდ იძლევა უარყოფით შედეგს, რის გამოსწორებასაც დიდი დრო სჭირდება და ამასთანავე იგი ძვირად ღირებული სიამოვნებაა;
- ქვეყნის სოფლის მეურნეობის სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი გეგმის არქონა;
- ხეხილის ბაღების მოვლის თანამედროვე ტექნოლოგიების სიმცირე, რაც იწვევს სამრეწველო ბაღების მსხმოიარობაში გვიან შესვლას და მოსავლის აღების სირთულეს;
- თითქმის აღარ არსებობს ადგილობრივი საუკეთესო ჯიშებისა და პერსპექტიული ფორმების სადედე ბაღები;
- თანამედროვე საირიგაციო-სამელიორაციო სისტემების მოშლა (გამფრქვევებით, წვეთოვანი მორწყვა) და უქონლობა;
- კვლავ დასაზუსტებელია ხეხილოვან კულტურათა გავრცელების ოპტიმალური ზონები;
- თითქმის აღარ არსებობს ხეხილოვან კულტურებთან ადაპტირებული სასოფლო-სამეურნეო (მოსავლის ამღები, შესაწამლი) მანქანა-იარაღები;
- მეტად დაბალია მეხილეობაში დასაქმებული ფერმერების ცოდნა აგროტექნიკისა და მოვლის შესახებ;
- არ არსებობს ხეხილოვან კულტურაზე ორიენტირებულ მცენარეთა დაცვის ინტეგრირებული სისტემები;
- სოფლის მეურნეობის სფეროში განათლების დაბალი დონე;
- მეცნიერებისა და ფერმერების ურთიერთგათიშულობა;
- დაბალი მოსავლიანობა;
- სადაზღვევო სისტემის არ მოქმედება;
- ფერმერებსა და მყიდველს შორის წინასწარი საკონტაქტო სისტემის მოუწესრიგებლობა;

- სურსათის უვნებელყოფის, ნარგავების დაცვისა და მომსახურების არაეფექტური სისტემა, რაც განაპირობებს მომხმარებლისათვის საფრთხის შექმნას;
- სუსტად მუშაობს მეხილე მწარმოებელ ფერმერებზე ორიენტირებული სწავლება-კონსულტირების სტრუქტურა;
- მიღებული მოსავლის შემდგომი შენახვა გადამუშავების ტექნიკური აღჭურვილობის სიმცირე (დამხარისხებელი და შესაფუთი დანადგარები, თანამედროვე ტარა, სამაცივრო დანადგარები);
- არ წარმოებს მარკეტინგული საქმიანობა მეხილეობის რეალიზაციის პერსპექტიული ბაზრების მოძიების მიზნით.

ხეხილოვანი კულტურების მარკეტინგი. ხეხილოვანი კულტურების მარკეტინგი, სხვა ხილისაგან განსხვავებით, მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება, რომელთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტორი, რომ ისინი არიან მალფუჭადი და მოითხოვენ განსაკუთრებული სახის სამაცივრო დანადგარებს, გამონაკლისის გარდა (კაკლოვნები).

ამჟამად ადგილობრივი ბაზარი ძირითადად მარაგდება ხეხილოვანთა ნაყოფების მცირე რაოდენობის პარტიებით, რომელთა საბითუმო რეალიზაცია ხდება მცირე საბითუმო ბაზარზე, სადაც მყიდველებად გვევლინებიან საცალო მოვაჭრეები. შესასყიდი პარტიების რაოდენობა კულტურების მიხედვით (კაკალი, გული) საშუალოდ მერყეობს 20-200 კგ-ის ფარგლებში. ამას ვერ ვიტყვით თხილის კულტურაზე. თხილის ბაზრის სტრუქტურა განსხვავებულია: ძირითადად შემსყიდველებად გამოდიან თხილის გადამამუშავებელი ქარხნები, რომლებიც იბარებენ პროდუქციას სხვადასხვა მცირე დამამზადებელი პროდუქტებიდან, რომლებიც მობილურად – სოფლებში და რაიონულ ცენტრებში ადგილზე ახდენენ მცირე პარტიებად კონსოლიდაციას. თხილის ქარხნები თხილის დახარისხების, გაშრობის და შეფუთვის შემდეგ, თხილის გულს, როგორც ნედლეულს, რეალიზაციას უკეთებენ ევროპის ქვეყნებში – გერმანია, ავსტრია, ბელგია, ბულგარეთი და ა.შ.

ხეხილოვანი კულტურების მარკეტინგი მნიშვნელოვანია წარიმართოს შემდეგი კუთხით: ნაყოფების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით დამუშავება, დახარისხება და სასაქონლო სახის მიცემა, საცდელი პარტიების გაგზავნის გზით ახალი ბაზრების მოძიება, სასურსათო სარეკლამო გამოფენების მოწყობა, თანამედროვე საინფორმაციო საშუალებების (ინტერნეტი, ვებ-გვერდი) გამოყენებით პოტენციური მყიდველის ინფორმირება-რეკლამირება და მარკეტინგული ორგანიზაციების შექმნა.

ხეხილოვანი კულტურების წარმოების საკანონმდებლო ბაზა. მიმდინარე ეტაპზე ხეხილოვანი კულტურების წარმოების სპეციფიკური მიმართულებების რეგულირება, ძირითადად ექვემდებარება საქართველოს შემდეგ კანონებს: „სამყნობი, სათესლე და სარგავი მასალის წარმოების ლიცენზირების შესახებ“, „სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშების გასავრცელებლად დაშვების, ხარისხიანი თესლისა და სარგავი ,ასალის შესახებ“, „პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ“, „სელექციური მიღწევების დაცვის შესახებ“ და „სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშების გასავრცელებლად დაშვების, ხარისხიანი თესლისა და სარგავი მასალის შესახებ“.

წარმოდგენილი კანონები გარკვეულწილად ახდენენ დარგის მნიშვნელოვანი საკითხების სამართლებრივ უზრუნველყოფას, თუმცა დარჩენილია ზოგიერთი საკითხი, რომელთა მოქცევაც სამართლებრივ ჩარჩოში აუცილებელია. აღნიშნული, უპირველეს ყოვლისა, შეეხება ეკოლოგიურად სუფთა (ორგანული) პროდუქციის წარმოებასა და სერტიფიცირებასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირებას. აგრეთვე მეტად აქტუალურია სარგავი მასალის წარმოებისა და რეალიზაციის წესებთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგება და ამ საკითხში საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს წამყვანი როლის განსაზღვრა.

გადაუდებელ ამოცანად მიგვაჩნია იმ კომისიის შექმნა, რომელიც სასწრაფოდ შეიმუშავებს და საქართველოს პარლამენტს წარუდგენს კანონ-პროექტს მეხილეობის განვითარების შესახებ, მით უმეტეს, რომ ამ მხრივ

მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტს საკმაო გამოცდილება აქვს და ჩატარებულია მოსამზადებელი სამუშაოები.

სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური პოლიტიკა. ხეხილოვანი კულტურების კვლევის მეცნიერულ უზრუნველყოფას ძირითადად ახორციელებდა მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტი, რომელსაც კვლევის მდიდარი ტრადიციები და ფართო გამოცდილება გააჩნდა ამ მიმართულებით და რომლის ამჟამად ლიკვიდირებულია და რომლის აღდგენაც მთავრობისათვის გადაუდებელ ამოცანად უნდა ჩაითვალოს.

ქართველი მეცნიერების მიერ ჩატარებულია ღრმა და შრომატევადი სამეცნიერო საქმიანობა: სელექციის გზით მიღებული და გამოვლენილია ახალი მაღალპროდუქტიული ჯიშები, შემოტანილი და შესწავლილია ხეხილოვანი კულტურების ახალი მაღალპროდუქტიული ჯიშები, შემოტანილი და შესწავლილია ხეხილოვანი კულტურების ახალი გენოტიპები, შერჩეულია ბაღის მოვლის ოპტიმალური სქემები, დამუშავებულია გამრავლების პროგრესული ტექნოლოგიები და ა.შ.

სამეცნიერო კვლევების ამჟამინდელ ამოცანას წარმოადგენს: ხეხილოვან კულტურათა ახალი ჯიშების შესწავლა, საუკეთესოების გამორჩევა და დანერგვა; ბაღის აგროტექნიკის პროგრესული მეთოდების შემუშავება; ხეხილოვან კულტურათა თანამედროვე ტექნოლოგიების შერჩევა-დანერგვა ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით; მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის ოპტიმალური სქემების შემუშავება; ხეხილოვან კულტურათა საჩვენებელი ბაღების მოწყობა; ქართველ სელექციონერთა მიღწევების დაცვა და პროპაგანდა. განსაკუთრებული ძალისხმევაა საჭირო ქართული უნიკალური გენოფონდის მოძიება-დაცვისა და შენარჩუნებისათვის.

სახელმწიფო დაფინანსების პირობებში იმის გათვალისწინებით, რომ საგრძნობლად იზრდება მომავალში დაფინანსება ჩამოთვლილი მიმართულებების განხორციელების რეალურ გზად საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დონორების დახმარებაც უნდა მივიჩნიოთ. მნიშვნელოვანია

მოწინავე ტექნოლოგიების დაფინანსება საკონკურსო გრანტების სისტემითაც.

საერთაშორისო პროგრამები და საკრედიტო პოლიტიკა. მეხილეობა და მათ შორის მათი კულტურების წარმოება, მიუხედავად მათი დიდი მნიშვნელობისა და პერსპექტივებისა, ნაკლებად არის მოქცეული საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დონორების აქტიური დახმარების სფეროში. ამის ძირითად მიზეზს, კვლავაც დარგის განმასხვავებელი ნიშანი – მრავალწლიანი საწარმოო ციკლი – წარმოადგენს. პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობის პირობებში. საერთაშორისო ორგანიზაციები, დონორები და ადგილობრივი საკრედიტო ინსტიტუტები თავს იკავებენ ისეთი პროდუქტების დაფინანსებაზე, რომელთა შედეგები მხოლოდ 5-8 წლის შემდეგ იქნება მიღებული. მისაბაძია ერთი საკმაოდ კარგი მაგალითი:

კაკლოვანი კულტურის წარმოების განვითარების მიმართულებით მნიშვნელოვანი კონკრეტული საქმიანობები განახორციელა გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის (FAO) კაკლისა და თხილის სანერგეების რაებიილიტაციის ტექნიკური დახმარების პროექტმა 2003-2004 წელს. კერძოდ, საქართველოს ორ რეგიონში შეიქმნა სანერგე მეურნეობები, რომლებიც აღიჭურვა სასათბურე საშუალებებითა და კალუსის ლოკალური გაცხელების უნიკალური აპარატებით. მებაღე-მევენახეობის და მეხილეობის ს/კ ინსტიტუტის გორის საცდელ სანერგეში, სკრის საცდელ სადგურში და ზესტაფონი-ვაჭევის საცდელ ნაკვეთებზე გაშენდა სადედე-საკალმე ბაღი და კაკლოვნების ადგილობრივი და ინტროდუცირებული ჯიშების კოლექცია. სანერგეების რეაბილიტაციის ღონისძიებათა ფარგლებში იტალიიდან შემოტანილი იქნა უვირუსო სარგავი მასალა, რითაც გაშენდა თხილისა და კაკლის სადემონსტრაციო ბაღები, ინტროდუცირებული იქნა ახალი მაღალმოსავლიანი ჯიშები, გაიმართა სემინარებისა და სწავლების ციკლი ხეხილოვან კულტურათა მოვლა-მოყვანისა და გამრავლების აქტუალურ საკითხებზე და სხვა.

გარდა ამისა, აღსანიშნავია სხვა პროექტებიც:

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2002-2003 წლებში გამოცხადებული იქნა ტენდერი თხილისა და კაკლის სანერგეების მოწყობაზე. სამწუხაროდ, გარკვეული ფინანსური შეფერხებების მიზეზით, ვერ მოხერხდა აღნიშნული ღონისძიების მთელი მოცულობით განხორციელება.

ნაყოფიერ მუშაობას ეწევა მსოფლიო ბანკის სასოფლო-სამეურნეო სწავლებისა და დანერგვის (ARET) პროექტი, რომლის შემწეობით განხორციელდა სამი პროექტი: თხილის ინტენსიური ტიპის ბაღების გაშენება, კაკლის სარგავი მასალის წარმოება სამეგრელოს რეგიონში და კაკლოვანი კულტურების სანერგის მოწყობა აჭარაში (ქედა).

უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში და კრედიტების გაცემის მიმართულებით საბანკო სექტორში გარკვეული დადებითი ძვრები შეინიშნება, მიუხედავად მაღალი საპროცენტო განაკვეთებისა (14.0-18.0%), შესაძლებელი გახდა ბაღების გაშენებისა და სწარმოო სიმძლავრეების შეძენისათვის კრედიტების მიღება – ძირითადად ფერმერთა საკრედიტო ასოციაციებისა და ზოგიერთი ბანკის (პროკრედიტბანკი, ქართუ ბანკი, აგრობიზნეს ბანკი, ბანკი რესპუბლიკა და სხვა) საშუალებით.

დარგის მთავარი ამოცანები. ხეხილოვანი კულტურების, როგორც საექსპორტო პროდუქციის, მნიშვნელობიდან გამომდინარე, დარგის გამართული და შეუფერხებელი მუშაობის გადასაწყვეტად აუცილებელია შემდეგი ამოცანების შესრულება:

- ხარისხიანი და ჯიშურად გარანტირებული სარგავი მასალის წარმოება;
- წარმოების მოცულობისა და მოსავლიანობის გაზრდა;
- ხეხილოვანი კულტურების წარმოების რენტაბელობისა და ეფექტურობის ამაღლება;
- ექსპორტის განვითარების მხარდაჭერა და მასზე ორიენტირებული ინფრასტრუქტურის შექმნა;
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და საკონსულტაციო მომსახურების შექმნის მხარდაჭერა;

- ხეხილოვანი კულტურების შესანახი და გადამამუშავებელი საწარმოების გამართვა და მათი მუშაობის ხელშეწყობა.

გასატარებელი ღონისძიებები. აღნიშნული ამოცანების გადასაჭრელად აუცილებელია განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

- წარმოების მოცულობისა და მოსავლიანობის გაზრდა;
- საქართველოს ხეხილოვანი კულტურების წარმოების განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის შექმნა;

  იმისათვის, რომ განისაზღვროს ფართობი ხეხილის ნარგაობის ქვეშ, უნდა განისაზღვროს რამდენია საჭირო საქართველოში ხილის წარმოება. კვების ინსტიტუტის ნორმატივების მიხედვით ერთ სულ მოსახლეზე საშუალოდ წელიწადში საჭიროა 100-120 კგ ხილი. ექსპორტისათვის 100 ათასი ტონა. საკონსერვო მრეწველობისათვის და ნატურალური წვენების დასამზადებლად 100 ათასი ტონა. საქართველოს მოსახლეობის (4997800 კაცი) წელიწადში ფიზიო-ლოგიური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად სჭირდება მინიმუმ 449780 ტონა ხილი, ე.ი. სულ საჭიროა 649785 ტონა.
- ხეხილოვანი კულტურების ახალი ბაღების გაშენება;
- ხილის საჰექტარო მოსავლიანობის გაზრდის პირობებში საშუალოდ 120 ცენტნერამდე, საჭირო იქნება ხეხილის ფართობი გადიდდეს 54150 ჰექტრამდე. ამის დაკმაყოფილება შესაძლებელი იქნება იმ შემთხვევაში თუ გავითვალისწინებთ, ხილის ნარგაობის სტრუქტურას სეზონური ხასიათით შემდეგი პროცენტული გაადგილებით:

  ვაშლი მთლიანი ფართობის 80%; ე.ი. 43320 ჰა

  მსხალი 5% - 2707,5 ჰა

  კომში 1% - 541,5 ჰა

  ზღმარტლი 0,2% - 108,1 ჰა

  ატამი 2,8% - 15162 ჰა

  ქლიავი 2,0% - 1083 ჰა

  ბალი 2,0% - 1083 ჰა

გარგარი 1,0% - 541,5 ჰა

ალუბალი 1,0% - 541,5 ჰა

ტყემალი 1,0% - 541,5 ჰა

კაკალი 1% - 541,5 ჰა

თხილი 3% - 1623 ჰა

კენკროვნები 0,1% - 265 ჰა

დანარჩენი 0,1% - 265 ჰა.

- ხეხილის ბაღებისა და კენკროვანთა ფართობების დარაიონება მეხილეობის ზონების მიხედვით:

ხეხილის ბაღები:

იმერეთი – 10%

სამეგრელო -ზემო

სვანეთი – 8%

გურია – 7%

რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო

სვანეთი – 4%

შიდა ქართლი – 40%

მცხეთა-თიანეთი – 5%

კახეთი – 7%

ქვემო ქართლი – 10%

სამცხე-ჯავახეთი – 7%

აჭარის ა.რ. – 2%

კენკროვნები:

კახეთი – 5%

ქვემო ქართლი – 3%

შიდა ქართლი – 3%

მესხეთი – 7%

იმერეთი – 45%

გურია – 2%

სამეგრელო – 2%.

- აღნიშნული კულტურების წარმოებისათვის ხელსაყრელი საკანონმდებლო და ინსტიტუციონალური გარემოს შექმნა;
- ხარისხიანი და ჯიშურად გარანტირებული სარგავი მასალის წარმოება;
- სანერგე სექტორის აღორძინების მიზნით, ხეხილოვან კულტურათა ნერგის წარმოების სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის შემუშავება, მის ფარგლებში ინტენსიური ტიპის ხეხილოვან კულტურათა უვირუსო საკალმე-სადედეების მოწყობის გათვალისწინება;

  მიგვაჩნია, რომ ნერგის წარმოება და მიწოდება ძირითადად სახელმწიფოს გამგებლობაში უნდა იყოს, რომელსაც შეუძლია გადაწყვიტოს იგი ხარისხისა და ასორტიმენტის დაცვით.

  ამასთან უნდა მოინახოს ნერგის კერძო მეწარმეობის დარეგულირების მექანიზმი, ისე რომ რეალიზაციის საშუალება არ ქონდეს უსტანდარტო პროდუქციას. სერტიფიცირება და მეწარმეთა რეგისტრაცია ხელს შეუწყობს წესრიგის დამყარებას.

მიზანმიმართულად მიგვაჩნია აღდგეს დასავლეთ საქართველოში: სენაკისა და ურეკის, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში: ბებნისის, ქიწნისის, ახლაციხის, უჯარმის, გორის და სკრის საცდელი სადგურის ექსპერიმენტულ ბაზაზე ხეხილის სანერგეები.

- ხეხილოვან კულტურათა წარმოების რენტაბელობისა და ეფექტურობის ამაღლება პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება;
- თანამედროვე პროგრესული ტექნოლოგიების (ბაღის გაშენების ინტენსიური სისტემები, ფორმირების თანამედროვე მეთოდები, პერსპექტიული და გაუმჯობესბეული ჯიშები, აპრობირებული აგროტექნიკური სისტემები, ადაპტირებული საირიგაციო მოწყობილობები) დანერგვის ხელშეწყობა, უკვე არსებულის მოდერნიზაცია-რაციონალიზაცია, სადემონსტრაციო-საჩვენებელი სანერგეების და ბაღების მოწყობა თითოეული ხეხილოვანი კულტურების მწარმოებელ რეგიონში;

- ხეხილოვან კულტურათა წარმოებისათვის სპეციალიზებული მანქანა-იარაღების (შესასხურებელი აპარატები, ჰერბიციდების შესატანი, ნიადაგის დასამუშავებელი მოწყობილობები, მოსავლის ამღები მანქანების და სხვა) დეფიციტის აღმოფხვრისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება, აღნიშნული მანქანა-იარაღების შემოტანა, სერვისული მომსახურების ცენტრების შექმნა-სრულყოფა;
- ხეხილოვან კულტურათა წარმოების დარგში არსებული მდგომარეობის ღრმა და ზუსტი ანალიზისათვის ნარგაობების ინვენტარიზაცია-აღრიცხვის ჩატარება. სტატისტიკური აღრიცხვიანობის მეთოდების დახვეწა, რათა მაქსიმალური სიზუსტით აღირიცხოს ცალკეულ კულტურათა მიერ დაკავებული ფართობები და მიღებული პროდუქციის რაოდენობა ჯიშური შემადგენლობის მიხედვით, რაც გააადვილებს მიღებული პროდუქციის საექსპორტოდ რეალიზაციისა და საგარეო ბაზარზე მასზე მყიდველის მოძებნას;
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და საკონსულტაციო სამსახურების შექმნის მხარდაჭერა;
- დარგისათვის აუცილებელი და მნიშვნელოვანი საცნობარო ლიტერატურის (ხეხილოვანი კულტურების მოვლა-მოყვანის აგროწესები, რეკომენდირებული და პერსპექტიული ჯიშების სორტიმენტის კატალოგები, ამ კულტურების მავნებელ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა სისტემები) სისტემატიური გამოცემის ორგანიზება;
- ხეხილოვან კულტურათა წარმოებისა და გადამუშავების შესახებ სემინარებისა და სასწავლო კურსების სისტემატიური ჩატარება და ფერმერთა კვალიფიკაციის ამაღლება;
- ხეხილოვანი კულტურების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაფინანსება, საკონკურსო საგრანტო სისტემის შექმნის საშუალებით, რომელიც მიზნობრივად დააფინანსებს დარგის პრაქტიკული და აქტუალური საკითხების კვლევას;
- ხეხილოვან კულტურათა ადგილობრივი უნიკალური ჯიშების გადარჩენისა და შენარჩუნების მიზნით არსებული გენეტიკური რესუ-

რსების საფუძვლიანი მოძიება, მათი პასპორტიზაცია და კოლექციის სახით თავმოყრა და დაცვა;

- ექსპორტის განვითარების მხარდაჭერა და მასზე ორიენტირებული ინფრასტრუქტურის შექმნა;
- ქართული ხილის ექსპორტის ხელშეწყობა საერთაშორისო ბაზარზე, შემაფერხებელი ფაქტორების დასაძლევად პროდუქციის რეალიზაციის ახალი მარკეტინგული არხების ამოქმედება, ექსპორტის ხელშემშლელი ბიუროკრატიული და ტექნიკური ბარიერების მოხსნა და მათი სარეალიზაციოდ მომზადების სტადიების დახვეწა;
- ხეხილოვან კულტურათა ბაღების გაშენებისათვის ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს მომზადება, საგადასახადო შეღავათების დაწესება ბაღის გასაშენებელი ინვესტიციებისათვის, პოტენციური ინვესტორების ინფორმირება-დაინტერესება და მოზიდვა;
- ხეხილოვან კულტურათა წარმოების სპეციფიკის (დაბანდებული სახსრების ამოღების ხანგრძლივი პერიოდი) გათვალისწინებით შეღავათიანი საკრედიტო სტრუქტურების ამოქმედების სტიმულირება;
- ხეხილოვან კულტურათა მარკეტინგული სამსახურების შექმნა, რომელიც მოემსახურება მწარმოებელს პროდუქტის გასაღებასა და ვაჭრობის დაგეგმვა-ორგანიზებაში;
- ეკოლოგიურად სუფთა ხეხილოვან კულტურათა წარმოების ხელშეწყობა, რისთვისაც აუცილებელია შემუშავდეს და ამოქმედდეს აღნიშნული პროდუქციის სერტიფიცირების ეფექტური სისტემა, რომელიც აკრედიტირებული იქნება შესაბამისი საერთაშორისო სასერტიფიკაციო სააგენტოს მიერ;
    - ხეხილოვან კულტურათა შესანახი და გადამამუშავებელი საწარმოების გამართული მუშაობის ხელშეწყობა;
- მოსავლის აღების შემდგომი პერიოდის ღონისძიებათა სრულყოფილი განხორციელებისათვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის (დასახარისხებელი ხაზები, შესაფუთი და თანამედროვე ტიპის

ტარის დამამზადებელი მოწყობილობები) შემოტანის მხარდაჭერა, შესაბამისი დონორების და კომერციული სტრუქტურების მოძიება.

მოსალოდნელი შედეგები. წარმოდგენილი ღონისძიებების განხორციელების შედეგად:

- დაკმყოფილდება მოსახლეობის მოთხოვნა ხარისხიან და ეკოლოგიურად სუფთა ხეხილოვანი კულტურების პროდუქციაზე;
- გაიზრდება საექსპორტო შემოსავლები;
- ეფექტური გახდება ხეხილოვან კულტურათა მწარმოებელი ფერმერული მეურნეობების საქმიანობა;
- ხეხილოვანი კულტურების წარმოების გაზრდით გაიზრდება გადამამუშავებელი ქარხნების სანედლეულო ბაზა, რაც აღადგენს ქვეყანაში საკონსერვო ქარხნების მოქმედებას;
- მიღწეული იქნება ხეხილოვან კულტურათა მწარმოებელ რეგიონებში სოფლის მოსახლეობის მდგრადი ეკონომიკური შემოსავლები, გაიზრდება სოფლის მოსახლეობის დასაქმების დონე, შენელდება სოფლიდან მოსახლეობის მიგრაციის პროცესი.

მიზანმიმართულად მიგვაჩნია საწყის ეტაპზე განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

- ახლად გაშენებული ხილის ბაღის ფართობებზე პირველი ხუთი წლის მანძილზე ე.ი. მსხმოიარობაში შესვლამდე გავრცელდეს შეღავათები მიწის გადასახადზე;
- ხილის ბაღების გაშენებისათვის გამოიყოს დაბალპროცენტიანი და გრძელვადიანი კრედიტები;
- შეიზღუდოს თანდათან ხილისა და ხილის გადამუშავებით მიღებული პროდუქციის იმპორტი, ისე, რომ ხელი შეუწყოს ადგილობრივი წარმოების პროდუქციის გასაღებას;
- ჩატარდეს საიჯარო მიწების პრივატიზაცია და ბაღების გაშენებისათვის ვარგისი მიწები გაიცეს გრძელვადიანი იჯარით კონკურსის წესით;

- მკაცრად აიკრძალოს პრივატიზებული ბაღების გაჩეხვა ნებართვის გარეშე;
- დაწესდეს მეხილეობის დარგში მოპოვებული წარმატებისათვის წამახალისებელი მუნიციპალური პრემიები და დამტკიცდეს მისი მინიჭების წესი;
- ყოველწლიურად მოეწყოს გამოფენა-დათვალიერება და მოწინავე მეხილეებისა და ფერმერების დაჯილდოვება.